საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

15 ივნისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №202/17

-- -- -- 2017 წლის 15 ნოემბრის №-- -- საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5]-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და 75[6]-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 4 მაისის №202/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- -- -- აღნიშნულია, რომ -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა -- „--“ სარჩელი და -- -- აეკრძალა --, -- ქ. -- მიწის ნაკვეთზე განთავსებული ელექტრო გადამცემი ხაზის და ანძის სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში ხელის შეშლა. მოსარჩელემ 2017 წლის 3 აგვისტოს წარდგენილი განცხადებით იშუამდგომლა მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა, რომელიც არ განხილულა იმავე სხდომაზე. სასამართლომ იგი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლზე დაყრდნობით და მიიღო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ ამავე კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

-- -- -- განმარტებულია, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ განჩინება მიღებულია 2017 წლის 9 აგვისტოს, რა დროისთვისაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ამავე კოდექსის 268-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვასა და გადაწყვეტას, საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, უკვე არაკონსტიტუციურად იყო ცნობილი. ამდენად მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო ძალადაკარგულ ნორმაზე დაყრდნობით.

-- -- -- მითითებულია, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის დარღვევას, მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 9 დეკემბერს -- „--“ სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით -- „--“ სარჩელი დაკმაყოფილდა.

2017 წლის 3 აგვისტოს -- „--“ შუამდგომლობით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა ითხოვა.

მოსამართლე -- -- 2017 წლის 3 აგვისტოს შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ განიხილა 2017 წლის 9 აგვისტოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოსამართლე -- -- 2017 წლის 9 აგვისტოს განჩინებით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ -- „--“ წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა.

2017 წლის 16 აგვისტოს -- საქალაქო სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა -- -- წარმომადგენელმა 2017 წლის 9 აგვისტოს განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

2017 წლის 13 სექტემბერს -- -- სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლოში დავა ჯერ არ დასრულებულა.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 აგვისტოს განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“.

„დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს... მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და მოსამართლეს არ დაუშვია სამართლებრივი შეცდომა. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ დისციპლინური გადაცდომა და სამართლებრივი შეცდომა“ (სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე).

მოცემულ შემთხვევაში, განსახილველი საკითხი წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლზე დაყრდნობით მიღებულ განჩინებასთან მიმართებით და სადავოა ის გარემოება, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას რამდენად იხელმძღვანელა არაკონსტიტუციურად ცნობილი, ძალადაკარგული ნორმით. ამასთან, ასეთის დადასტურების შემთხვევაში, შეფასება უნდა განხორციელდეს იმ კუთხითაც, საპროცესო წესის დარღვევა, არსებული შედეგების, ქმედების ხასიათის გათვალისწინებით, რამდენად შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს იმავე სხდომაზე, რომელზედაც გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი აღნიშნულ სხდომაზე არ იქნა განხილული, იგი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ მათი ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას. (ძალადაკარგულია მე-2

წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძვლის დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვასა და გადაწყვეტას).

საკონსტიტუციო სასამართლო 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „საქმის ზეპირი განხილვა, ერთის მხრივ, ხელს უწყობს მხარეებს უკეთ დაასაბუთონ საკუთარი კანონიერი მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, ეხმარება მოსამართლეს საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე გამოიტანოს ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.“ ამდენად, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ამავე კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტას, იწვევს უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას და შედეგად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.“

წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 9 აგვისტოს განჩინებით სასამართლომ (მოსამართლე -- --) განიხილა და დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა - გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.

2017 წლის 9 აგვისტოს განჩინების შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ მოსამართლემ ზეპირი მოსმენით განიხილა შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, თუმცა, საყურადღებოა, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება სხდომის ჩანიშვნის, უწყების გაგზავნის ან სხდომის ოქმის არსებობის დამადასტურებელი მასალები, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ განცხადება განხილულია ზეპირი მოსმენის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ სადავო განჩინება სასამართლოს მიერ მიღებულია 2017 წლის 9 აგვისტოს, რა პერიოდშიც, საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იყო ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ამავე კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ერთმნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე -- -- წარდგენილ შუამდგომლობასთან მიმართებით ზეპირი მოსმენის წესით უნდა ემსჯელა, რის გამოც, მის მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის დანაწესი.

დადასტურებულ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტთან მიმართებით, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, რელევანტურია გამოირკვეს და შეფასდეს სხვა

გარემოებებიც. კერძოდ, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და აღინიშნოს, რომ მხოლოდ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი არ იძლევა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციის შესაძლებლობას და მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ჩადენის შეფასების პროცესში, სავალდებულო წესით კუმულაციურად მხედველობაში მიიღება: მოსამართლის ბრალეულობა და მისი ხარისხი, შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, შეცდომის ხარისხი, მოსამართლის მოტივი, ქმედებათა განმეორებითობა და ინტენსივობა და ა.შ.[1]

კონკრეტულ შემთხვევაში დაშვებული შეცდომის დისციპლინურ ქმედებად კვალიფიკაციისთვის, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

- საქმეზე არ იკვეთება ისეთი საფუძვლები, რაც დაადასტურებდა კანონის ინტერპრეტირების ან/და საკითხის შეფასებისას მოსამართლის უხეშ გაუფრთხილებლობას/ბოროტ განზრახვას.

- საქმეში არსებულ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე, შეცდომასთან მიმართებით მოსამართლის დამოკიდებულებიდან არ იკვეთება მოსამართლის მოტივი, რაც განაპირობებდა არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებით შეცდომის დაშვებას.

- საქმეზე დაშვებულია შეცდომა, რაც ექვემდებარებოდა გასწორებას. კერძოდ, -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 9 აგვისტოს განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა, მოპასუხე მხარის კერძო საჩივრის საფუძველზე, შემოწმდა -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, რის საფუძველზეც, გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 9 აგვისტოს განჩინება - გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ. მითითებული გარემოება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ იგი გამორიცხავს შედეგობრივად მხარის უფლებების არსებითად დარღვევის შემთხვევას (შეცდომის ხარისხი).

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე, 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებაში, აღნიშნავს, რომ „შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი - არის ძირითადი ფაქტორები, რაც ქმნის მიჯნას დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის, შესაბამისად, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს მოსამართლის ქმედებას ზუსტად უნდა მიენიჭოს კვალიფიკაცია. მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში, თუ დადგინდება, რომ მისი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ხოლო, თუ ქმედება ექცევა სამართლებრივი შეცდომის ფარგლებში, მოსამართლე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული პრინციპის ურყევი შესრულება პირდაპირ არის

[1] სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

დაკავშირებული მოსამართლის ხელშეუხებლობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასთან“.

არსებულ მოცემულობაში კი, შეცდომის ხარისხის, მოსამართლის მოტივის, ქმედებისადმი მისი განზრახი და ასევე, უხეში გაუფრთხილებლობის გამომრიცხავი დამოკიდებულების გამო, საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი უნდა შეფასდეს სამართლებრივ შეცდომად, რაც ქმედების დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციას გამორიცხავს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

დისციპლინური საკითხის განხილვისას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 4 მაისის დასკვნის შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ -- -- -- 2017 წლის 15 ნოემბრის №-- -- საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავდა მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს. შესაბამისად, ,,საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის თანახმად, მიზანშეწონილად ჩათვალა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება და ახსნა-განმარტების ჩამორთმევა გადაწყვეტილებაში მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრმა მიიჩნია, რომ მართალია მოსამართლის მხრიდან დასტურდებოდა საპროცესო წესის დარღვევის შემთხვევა, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი გარემოებები მიუთითებდა მხოლოდ სამართლებრივი შეცდომის და არა, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე.

შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა.

ვინაიდან ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების მიღებულად ითვლება თუ მას მხარი საბჭოს ათმა წევრმა დაუჭირა, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევას მხარი დაუჭირა ექვსმა წევრმა, ხოლო სამართალწარმოების შეწყვეტას - ცხრა წევრმა, „ საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №202/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი